თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 23 მაისის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 23 მაისი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9.ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. ეკა ბერძენიშვილი., 18. გოჩა ვერულაშვილი, 19.რუსუდან კოვზირიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2.რამინი რობაქიძე, 3.თამარი ახვლედიანი, 4. ფრიდონი გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.კობა კირკიტაძე, 8. მერაბი ბასილაძე, 9.როლანდი მესხი, 10. ივანე ჩუბინიძე, 11.ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 19 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁴⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

4. ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის

უზრუნველსაყოფად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს. (შემდგომში- საბჭო).
საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის, თერჯლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-19 , წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №12, 23.05.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 21 წევრით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.2925143001, 23/05/2025).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ცვლილება განაპირობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნამ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება №11, 23.05.2025 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.29251432, 23/05/2025).

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი